ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N46

ქ.თბილისი

22 ნოემბერი, 2024 წელი
15[00]საათი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ზურაბ აბაშიძე
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე თინათინ ნიბლოშვილი

საკრებულოს წევრები:

ლევან აბაშიძე
აკაკი ალადაშვილი
ლევან არველაძე
ვლადიმერ ბოჟაძე
ოთარ გრიგოლია
ლევან დავითაშვილი
ნინო ვარდოსანიძე
კონსტანტინე ზარნაძე
მარიამ ზაქარიაშვილი
ანა კაკაბაძე
მიხეილ კაკაურიძე
ნიკოლოზ კახეთელიძე
ანა კილაძე
ზვიად კუპრავა
კახაბერ ლაბუჩიძე
ნათია მოდებაძე
შალვა ოგბაიძე
გურამ ოქროპირიძე
ნინო რუხაძე
რევაზ სოხაძე
თამარ ჩახვაშვილი
ზურაბ ჩიკვილაძე
გივი ჩხარტიშვილი
ავთანდილ ცინცაძე
ირაკლი ხელაძე
ალექსანდრე ხუჯაძე
ლევან ჯაფარიძე

საკრებულოს სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი გაიოზ თალაკვაძე;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე ლევან მიქავა;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილეები: ვასილ აბულაძე, ოთარ ჩიტიძე;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელი მარიამ კვერნაძე;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანის რაიონის გამგებლის თანამდებობაზე წარდგენილი კანდიდატი ბესიკ კალაძე.

სხდომა გახსნა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ. „ქართულ ოცნებას“ მიულოცა საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვება, განაცხადა, რომ არჩევნები ჩატარდა ძალიან მაღალი სტანდარტით და მადლობა გადაუხადა ყველა ამომრჩეველს, განსაკუთრებით მათ, ვინც მხარი დაუჭირა „ქართულ ოცნებას“. მისი თქმით, მომავალი ოთხი წელი ჩვენი ქვეყნისთვის იქნება ძალიან მნიშვნელოვანი და დარწმუნებულია, რომ ეს გამარჯვება არის ქვეყნის წარმატების, კეთილდღეობის, მშვიდობის გარანტი და ძალიან მალე, საქართველო გახდება ევროკავშირის წევრი ქვეყანა. გიორგი ტყემალაძემ გამარჯვება მიულოცა საკრებულოს წევრებს: ირაკლი ხელაძეს, ვლადიმერ ბოჟაძეს და აკაკი ალადაშვილს, რომლებიც ნაძალადევის, გლდანის და საბურთალოს რაიონების დელეგატებად იყვნენ წარდგენილნი საქართველოს პარლამენტში, წარმატებები უსურვა მათ და მადლობა გადაუხადა თბილისის საკრებულოში გაწეული საქმიანობისთვის. გიორგი ტყემალაძემ, ისაუბრა თბილისის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტზე და აღნიშნა, რომ 2024 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით უკვე გაზრდილია, თუმცა, დარწმუნებულია, რომ გადამუშავებული ბიუჯეტი იქნება 2024 წლის დაზუსტებულ ბიუჯეტთან გათანაბრებული, რაც ნიშნავს იმას, რომ დაახლოებით 150 მილიონიანი ზრდა იქნება საბოლოო პროექტში. აქვე განაცხადა, რომ ამ პერიოდის განმავლობაში საკრებულოს აქტიური კონსულტაციები ექნება თბილისის მთავრობასთან და იმედი გამოთქვა, რომ ბიუჯეტის გადამუშავებულ პროექტში მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული საკრებულოს რეკომენდაციები.

ვლადიმერ ბოჟაძემ განაცხადა: „მინდა ჩვენს ქვეყანას წარმატებული საპარლამენტო არჩევნები მივულოცო, მივულოცო ყველა ამომრჩეველს, ვინც მოვიდა არჩევნებზე... მინდა განსაკუთრებულად მივულოცო ჩვენს პოლიტიკურ გუნდს და მადლობა გადავუხადო 1120053 ამომრჩეველს, რომელმაც „ქართულ ოცნებას“ დაუჭირა მხარი და ჩვენს გზას ევროპისკენ, ოღონდ, რა თქმა უნდა, მხოლოდ მშვიდობით, ღირსებით და კეთილდღეობით“. განაცხადა, რომ საკრებულოს მიმდინარე სხდომა მისთვის, როგორც საკრებულოს წევრისთვის ბოლო სხდომაა და მადლობა გადაუხადა კოლეგებს, საკრებულოს აპარატს, ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თანამშრომლებს, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა და გარემოს დაცვის კომისიების სამდივნოების თანამშრომლებს. ვლადიმერ ბოჟაძემ მადლობა გადაუხადა ასევე, დედაქალაქის მერს, მერიის მოადგილეებს, მერიის სამსახურებს, ყველა გამგებელს და აღნიშნა, რომ საქართველოს პარლამენტიდან კვლავ განაგრძობს თანამშრომლობას თბილისის საკრებულოსთან და მთავრობასთან. საუბრის ბოლოს, განაცხადა, რომ 2025 წლის ოქტომბერში იქნება არანაკლებ მნიშვნელოვანი თვითმმართველობის არჩევნები, რომელსაც „ქართული ოცნება“ ისევე დამაჯერებლად მოიგებს, როგორც ეს მოხდა 2024 წლის 26 ოქტომბერს და კიდევ ერთხელ მადლობა გადაუხადა საქართველოს მოსახლეობას „ქართული ოცნების“ გუნდის მხარდაჭერისთვის.

ოთარ გრიგოლიამ საკრებულოს წევრებს მიულოცა საპარლამენტო არჩევნებში „ქართული ოცნების“ გამარჯვება და განაცხადა: „ეს იყო ნამდვილად რეფერენდუმი. რეფერენდუმი იმას შორის უნდა ვიყოთ თუ არა სუვერენულები, თუ უნდა ვიყოთ დამოკიდებულები. უნდა გავთავისუფლდეთ თუ არა ჩვენ ისეთი გავლენებისგან, რომელიც ჩვენი ქვეყნის ინტერესების წინააღმდეგ არის, თუ უნდა დავრჩეთ ამ გავლენების ქვეშ და ქვეყნის საწინააღმდეგო გადაწყვეტილებები მივიღოთ. თავისთავად ცხადია, ამ ყველაფერმა მიიღო ფორმა და ზომა და ხალხმა გადაწყვიტა, რომ ქართველი ხალხი და ქართული კულტურა უნდა იყოს სუვერენული და ჩვენ თვითონ უნდა გადავწყვიტოთ ჩვენი ბედი“. ისაუბრა თბილისში მიმდინარე მოვლენებზე და განაცხადა, რომ გულისტკივილით უყურებს ამ პროცესებს, რადგან ჩვენ ვხედავთ „გზააბნეულ“ არასამთავრობო ორგანიზაციებს და პოლიტიკურ ჯგუფებს, რომლებიც ცდილობენ, რომ ეს არჩევნები გაყიდონ როგორც გაყალბებული, თუმცა, ამის სასარგებლოდ ერთი არგუმენტიც კი არ გააჩნიათ მიუხედავად იმისა, რომ აქტიურად ცდილობენ აღმოაჩინონ რაიმე ტიპის გაყალბების საბუთი. მისი თქმით, „ქართულმა ოცნებამ“ დამსახურებულად და სამართლიანად მოიგო არჩევნები და რაც უფრო მალე შეეგუებიან ჩვენი მოქალაქეები და არასამთავრობო ორგანიზაციები იმას, რომ ეს ესეა, მით უფრო მალე დაიწყება კონსტრუქციული პროცესები. საუბრის ბოლოს, ოთარ გრიგოლიამ საკრებულოს წევრებს: აკაკი ალადაშვილს, ვლადიმერ ბოჟაძეს და ირაკლი ხელაძეს მიულოცა საქართველოს პარლამენტის წევრობა,

მადლობა გადაუხადა თბილისის საკრებულოში გაწეული საქმიანობისთვის, წარმატებები უსურვა და მიმართა მათ: „გახსოვდეთ და იცოდეთ, რომ ჩვენ მხარს გიჭერთ და თქვენი მხარდაჭერა ჩვენთვის მნიშვნელოვანია“.

ნათია მოდებაძემ „ქართული ოცნების“ გუნდს მიულოცა არჩევნებში გამარჯვება და მადლობა გადაუხადა ამომრჩევლების უმრავლესობას კიდევ ერთხელ გამოცხადებული ნდობისთვის. საქართველოს პარლამენტის წევრობა მიულოცა საკრებულოს წევრებს, მათ შორის, ოპოზიციის წარმომადგენლებს და წარმატებები უსურვა მომავალ საქმიანობაში. განაცხადა, რომ საქართველოში არჩევნები ჩატარდა არაერთ ქვეყანაში ნაცადი ტექნოლოგიების გაყენებით და კენჭისყრის პროცესში გამოვლინდა ყველაზე ნაკლები რაოდენობის დარღვევა, რაც კი ყოფილა საქართველოს უახლეს ისტორიაში. სწორედ ამიტომ, წაგებას ვერშეგუებული ოპოზიცია, მიუხედავად იმისა, რომ წინასაარჩევნოდ ამომრჩევლებს არწმუნებდა, რომ შეუძლებელი იყო ამ ტექნოლოგიით ჩატარებული არჩევნების გაყალბება, დღეს ამბობს, რომ არჩევნები გაყალბდა და საქართველოში ხმები მოიპარეს. განაცხადა, რომ ოპოზიციის მხრიდან, წინასაარჩევნოდ, არაერთხელ გაჟღერდა, რომ როგორიც არ უნდა ყოფილიყო არჩევნების შედეგი, არ აპირებდნენ მის აღიარებას და ფაქტი იყო ისიც, რომ ოპოზიციას ამომრჩევლებთან არ უმუშავია, რაც იმის დასტურია, რომ ემზადებოდნენ ნოემბრისთვის, თუმცა, ის აქციები, რაც დაგეგმილი ჰქონდა, ვერ შედგა, რის შემდეგაც დაიწყო წერილების მიწერა ვაშინგტონისთვის და მიმართა ოპოზიციურ პარტიებს: „რატომ გგონიათ, რომ გაქვთ უფლება ისაუბროთ საქართველოს სახელით, ქართველი ხალხის სახელით, მაშინ, როდესაც ქართველ ამომრჩეველთა უმრავლესობამ თქვენ არ მოგცათ ლეგიტიმაცია. ვისურვებდი, რომ თქვენ საქართველოში აკეთოთ ნამდვილად ოპოზიციური საქმე და არა ის, რასაც ეხლა აკეთებთ... ვისურვებდი, საქართველოში ოდესმე ნამდვილად იყოს რეალური ოპოზიცია, რომელიც ოპონირებას გაწევს ნებისმიერ დონეზე ღირსეულად და არა ისე, როგორც ახლა თქვენ ამას აკეთებთ“.

ზვიად კუპრავამ სხდომაზე წარადგინა მის მიმართ აღძრული სისხლის სამართლის საქმე და მიმართა საკრებულოს წევრებს: „ალბათ ყველა მოუსმენდით ბიძინა ივანიშვილის ბოლო სატელევიზიო გამოსვლას, სადაც მან ორჯერ ხაზი გაუსვა ხორავას ქუჩის საქმეს და იმ პერიოდში მიმდინარე პროცესებს. არც თქვენ შორის და არც ოპოზიციაში, ჩემი აზრით, არავინ არის გულუბრყვილო და არ ფიქრობს, რომ ეს წამოსცდა ან შემთხვევით თქვა. ცხადია, ეს ასე არ არის, მაგრამ არის კითხვა, თუ რატომ უსვამს ის ხაზს ასე მონდომებით ხორავას ქუჩის საქმეს? იმიტომ ხომ არა, რომ მან ეს ვერ დაივიწყა და ვერ დაივიწყა იმიტომ, რომ ეს იყო ერთ-ერთთაგანი იმ პროტესტებიდან, ბოლო ათი წლის განმავლობაში, რომელსაც ის და სუსი ვერ აკონტროლებდა? ალბათ, მიზეზიც და მოტივიც ასეა და ეს საქმის მასალებიც სწორედ იმიტომ მოვიტანე, რომ ეს არის ბიძინა ივანიშვილის და მისი ფიქრების გაგრძელება“. აღნიშნა, რომ საქმის მასალების მოცულობიდან გამომდინარე, ყველაფერს ვერ წაიკითხავს და ისაუბრა ორ ძალიან მნიშვნელოვან დოკუმენტზე: „ეს არის ორი სხვადასხვა მოსამართლის დადგენილება, რომელიც ძალიან მოკლედ მინდა გითხრათ. ქალბატონი ლელა კალიჩენკო მოსამართლის და ბატონი რომეო ტყეშელაშვილი მოსართლის დადგენილებები მიჭირავს ხელთ: „სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდებულ ზვიად კუპრავას მიმართ დანაშაულზე, გათვალისწინებული „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის“ 162[1] მუხლის პირველი ნაწილით, ვაცხადებ თვითაცილებას. თვითაცილების შესახებ დაუყოვნებლივ ეცნობოს თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარეს - მოსამართლე ლელა კალიჩენკო“; „ზვიად კუპრავას ბრალდების სისხლის სამართლის საქმეზე ვაცხადებ თვითაცილებას. თვითაცილების შესახებ დაუყოვნებლივ ეცნობოს თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარეს - მოსამართლე რომეო ტყეშელაშვილი“. ამის შემდეგ ინიშნება მესამე მოსამართლე ბატონი უბილავა, რომელიც გარკვეული პერიოდის შემდეგ, თითქმის, როდესაც საქმე გასულია ბოლოში, იცვლის კოლეგიას და აცილებით საქმე გადაეცა სხვა მოსამართლეს. დღეს უკვე მეოთხე მოსამართლე იძიებს ამ საქმეს, ბატონი ზვიად შარაძე. მე არ შევაფასებ მას, როგორც მოსამართლეს, როგორც პიროვნებას, არ შევაფასებ არც პოზიტიურად და არც ნეგატიურად, ალბათ, მას მისი განაჩენი თავად შეაფასებს, თუმცა, გულწრფელად გითხრათ, ნეგატიური დამოკიდებულება არ დამრჩა მის მიმართ სასამართლო პროცესებიდან გამომდინარე. ასევე, მე თქვენ გაგახსენებთ ამავე დარბაზიდან, პროკურორი, რომელმაც აღძრა საქმე და დაიწყო ამ საქმეზე გამოძიება არის

პროკურორი ქალბატონი თამარ იაკობიძე და გემახსოვრებათ, ალბათ, ამ დარბაზიდან მივმართე გენერალურ პროკურატურას და შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლებით მოვითხოვე აღნიშნული ქალბატონი პროკურორის საქმიდან აცილება. იმ დღის მერე, ეს პროკურორი აცილებული არის ჩემი სისხლის სამართლის საქმეზე, პროცესებს არ ესწრება. როგორც ხედავთ, არცერთ ნორმალურ მოსამართლეს, არცერთ ნორმალურ ადამიანს არ უნდა ხელი გაისვაროს ამ საქმეში, მით უმეტეს, როდესაც ჩვენ ეხლა ზეპირად ვმსჯელობთ, არ ვიცით საქმეში რა ხდება და მოსამართლეებმა იციან. არავის არ სურს გაასამართლოს ადამიანი საქმეზე, რომელზეც არის უდანაშაულო, მაგრამ ამის სურვილი აქვს ერთადერთ კაცს და ეს არის ბიძინა ივანიშვილი და თუ რატომ აქვს მას ამის სურვილი, ეს გასული წუთის განმავლობაში გითხარით“.

ირაკლი ხელაძემ მადლობა გადაუხადა საქართველოს მოქალაქეებს 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებზე ღირსეული პოზიციის დაფიქსირებისთვის. მისი თქმით, „ეს იყო ძალიან მნიშვნელოვანი, ღირსეული გამარჯვება. გამარჯვება არა ოპოზიციურ პარტიებზე, გამარჯვება იმ არასათანადო, არასამართლიან, ორმაგ სტანდარტზე, გაუგონარ შეტევებზე, თავდასხმებზე, რომლებიც აქამდე ისტორიას არ ახსოვდა ჩვენს ქვეყანასთან მიმართებაში. თუმცა, გამოჩნდნენ ადამიანები, გამოჩნდა საზოგადოების ის ნაწილი, რომელმაც ესეთი მნიშვნელოვანი, დამაჯერებელი გამარჯვება მოუტანა „ქართულ ოცნებას“ და გადასცა მანდატი ქვეყნის სამართავად. რა თქმა უნდა, ჩვენ მაქსიმალური პასუხისმგებლობით, ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ყოველთვის ვიქნებით ხალხის სამსახურში და ვეცდებით, რომ ის ნდობა, რომელიც გამოხატული იყო „ქართული ოცნების“ მისამართით, იყოს გამართლებული“. ირაკლი ხელაძემ აღნიშნა, რომ მიმდინარე სხდომა მისთვის ბოლო სხდომაა ამ მოწვევის საკრებულოში და დღეს მისი მთავარი სათქმელი არის მადლობა საკრებულოს წევრების, საკრებულოს აპარატის თანამშრომლების, ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სამდივნოს თანამშრომლების და იმ კომისიების სამდივნოების თანამშრომლების მისამართით, რომლებშიც მას მოუწია მუშაობა და განაცხადა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ტოვებს საკრებულოს, რჩება მის გულშემატკივრად, განაგრძობს საკრებულოს წევრებთან თანამშრომლობას და დარწმუნებულია, რომ ერთად კიდევ არაერთ დიდ წარმატებას მიაღწევენ. ირაკლი ხელაძემ ასევე, ისაუბრა 2025 წლის ბიუჯეტზე და აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტი უკვე აღემატება 2024 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტს, შენარჩუნებულია პრიორიტეტები და ის მნიშვნელოვანი მიმართულებები, რაც დედაქალაქის მერიის ფუნქციონირებისთვის და უწყვეტი სერვისების განხორციელებისთვის არის აუცილებელი და იმედი გამოთქვა, რომ დასამტკიცებლად შემოსული ბიუჯეტის პროექტი იქნება კიდევ უფრო კონკრეტული, წარმოდგენილი იქნება კიდევ უფრო მეტი სახელობითი პროექტი, რაიონული გამგეობებისთვის გათვალისწინებული იქნება მეტი თანხები და საბოლოო ჯამში მივიღებთ ისეთ ფინანსურ დოკუმენტს, რომელიც ძალიან ეფექტიანად უპასუხებს იმ გამოწვევებს და საჭიროებებს, რაც აწუხებს დედაქალაქს და მის მაცხოვრებლებს. საუბრის ბოლოს, ირაკლი ხელაძემ წარმატებები უსურვა საკრებულოს წევრებს, ჩვენს დედაქალაქს და ქვეყანას.

თინათინ ნიბლოშვილმა მიულოცა კოლეგებს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში მუშაობის გაგრძელება, წარმატებები და ისეთივე ნაყოფიერი საქმიანობა უსურვა, როგორიც მათ ჰქონდათ თბილისის საკრებულოში. ისაუბრა 26 ოქტომბრის არჩევნებზე, რომელმაც, მისი თქმით, დაგვანახა, რომ საქართველო ნამდვილად არის ღირსეული ხალხის ქვეყანა, იმიტომ, რომ მათ კიდევ ერთხელ აირჩიეს ღირსება და კიდევ ერთხელ დაუჭირეს მხარი იმ პოლიტიკურ ძალას, რომელიც იყო მათი მშვიდობის და ღირსების გარანტი. ხოლო, რაც შეეხება დამარცხებულ ოპოზიციას, უამრავი მცდელობის მიუხედავად, რომ არჩევნები გამოაცხადონ გაყალბებულად, ვერაფერს გახდა და დროა შეეგუოს დამარცხებას, რადგან უმცირესობის დიქტატის ქვეშ აღარსდროს იცხოვრებს ქართველი ხალხი და როსედაც გბულს განსხვავებული აზრის მქონე სხვა პოლიტიკური გუნდის მხარდამჭერი თანამოქალაქეები, ოლიმპიური ჩემპიონები, სპორტსმენები, ბაღის მასწავლებლები, ქალები, ბავშვები, ეროვნული უმცირესობები და ა.შ., რასაც საარჩევნო კამპანიაში ღიად და მკაფიოდ გამოხატავ, არ უნდა გაგიკვირდეს, რომ არჩევნებს წააგებ და ეს ადამიანები მხარს არ დაგიჭერენ.

ნინო რუხაძემ განაცხადა, რომ 26 ოქტომბრის არჩევნებმა წარმოაჩინა მტკიცე და ერთმნიშვნელოვანი მხარდაჭერა მმართველი პოლიტიკური ძალის მიმართ. აღნიშნა, რომ ქართველმა ხალხმა მომდევნო ოთხი წლის მანძილზე კვლავ „ქართულ ოცნებას“ ანდო ქვეყნის მმართველობა და მას, როგორც ამ პოლიტიკური გუნდის ერთ-ერთ წარმომადგენელს, სურს მადლობა გადაუხადოს საქართველოს მოსახლეობას გამოცხადებული ნდობისთვის. მისი თქმით, ეს არჩევნები მნიშვნელოვანი იყო იმ თვალსაზრისითაც, რომ საქართველო და ქართული საზოგადოება გაიზარდა და ერთადერთი ვინც ვერ გამოავლინა ზრდის უნარი, არის ოპოზიცია, რომელიც ხელმძღვანელობს „გაშიფრული სქემებით“ და „ვადაგასული სახელმძღვანელოებით“, ვერ პასუხობს მოსახლეობის დაკვეთას და ვერ ეხმიანება მოქალაქეების მოთხოვნებს - პროგრესი, წინსვლა და ხელისუფლების ოპონირება ისეთი კონსტიტუციური პლატფორმის გამოყენებით, როგორიცაა საქართველოს პარლამენტი. მისი თქმით, დესტრუქციული ქმედების ყოველი დღე არის ოპოზიციის დევალვაციის და დელეგიტამაციის დღე. ოპოზიცია, ყოველი გასული დღით შედის ჩიხში და უფრო ღრმა კრიზისში, რითიც სცილდება თავისი ელექტორატის დაკვეთას, რადგან მისთვის დაუჯერებელია, რომ მათი მხარდამჭერები ოპოზიციისგან ითხოვდნენ საქართველოსთვის შეფერხებების შექმნას ევროინტეგრაციის გზაზე და ხელს აწერდნენ იმ ანტისახელმწიფოებრივ წერილს, რომელსაც ოპოზიცია აგზავნის ბრიუსელში. საუბრის ბოლოს, ნინო რუხაძემ წარმატებები უსურვა საქართველოს პარლამენტის ახალ შემადგენლობას, განსაკუთრებით საკრებულოს წევრებს და ისურვა, რომ მათ საქართველოს მოსახლეობის მიერ გამოცხადებული ნდობა აღიქვან როგორც ნდობის კრედიტი, რომელსაც დიდი დივიდენდებით სჭირდება დაბრუნება.

კახაბერ ლაბუჩიძემ მადლობა გადაუხადა „ქართული ოცნების“ ამომრჩევლებს, რომლებმაც მხარი დაუჭირეს ქვეყანაში მშვიდობას და კეთილდღეობას. მან საკრებულოს წევრებს მიულოცა პარლამენტის წევრობა და წარმატებები უსურვა მათ. აქვე აღნიშნა, რომ ისნის რაიონში, თითოეულ უბანზე „ქართული ოცნების“ მხარდამჭერთა რაოდენობა 4-5-ჯერ აღემატებოდა ყოველი მომდევნო პარტიის მხარდამჭერების რაოდენობას, რაც არის „ქართული ოცნებისთვის“ უდიდესი ნდობის გამოცხადება და უპრეცედენტო მხარდაჭერა მეოთხე ვადით, რაც მსოფლიოს მასშტაბით უიშვიათესი შემთხვევაა და განაცხადა, რომ ამომრჩევლების მიერ გამოცხადებული ნდობა და მხარდაჭერა გამართლებული იქნება და ოთხი წლის შემდეგ, ჩვენი ქვეყანა იქნება ზუსტად იმ სიმაღლეზე, რომელსაც ვგეგმავთ.

მიხეილ კაკაურიძემ განაცხადა, რომ საკრებულოს სხდომაზე დასწრების გადაწყვეტილება მიიღო ინდივიდუალურად და აქვე აღნიშნა, რომ საკრებულოს კომისიებში მუშაობა არ შეუწყვეტია, რადგან თვლის, რომ თვითმმართველობები ცოტა უფრო თავისუფალი უნდა იყვნენ პოლიტიკური წნეხისგან და ორიენტირებული იყვნენ მუნიციპალურ გამოწვევებზე საპასუხოდ. სწორედ აქედან გამომდინარე მიიღო საკრებულოს მიმდინარე სხდომაზე დასწრების გადაწყვეტილება, თუმცა, სამწუხაროდ, ისმენს თვითკმაყოფილების რეჟიმში ყოფნის გამომხატველ ფრაზებს, რაც არარეალურია, რადგან ფიქრობს, რომ ქვეყანაში და თბილისში არსებული პოლიტიკური კრიზისი არ იძლევა მოდუნების და კმაყოფილების გრძნობით გამსჭვალვის შესაძლებლობას და როდესაც საზოგადოებაში წყდება კომუნიკაცია და საზოგადოების ერთი ნაწილი მეორეს უფსკრულის იქიდან უყურებს, თვითდამშვიდების არანაირი გრძნობა არ უნდა ჰქონდეს პასუხისმგებლიან პოლიტიკოსს. მიხეილ კაკაურიძემ ისაუბრა საკრებულოს სხდომის დღის წესრიგით წარმოდგენილ საკითხებზე და განაცხადა, რომ შეუძლებელია დადებითად შევაფასოთ 2025 წლის ბიუჯეტის პარამეტრები მაშინ, როდესაც მისი მხოლოდ 7% ხმარდება იმ კაპიტალურ ინფრასტრუქტურულ პროექტებს, რომლებსაც საჭიროებს დედაქალაქი და ასევე, შეუძლებელია დღის წესრიგით წარმოდგენილ არაერთ საკითხს ისე დაუჭიროთ მხარი, რომ არ ჩავუღრმავდეთ, რადგან ეს ყველაფერი ქალაქს შეიყვანს იმ ჩიხში, საიდანაც გამოსვლა გაგვიჭირდება აუხლოეს მომავალში. აქედან გამომდინარე, ფიქრობს, რომ საკრებულოს წევრები უნდა კონცენტრირდნენ ერთმანეთისკენ ნაბიჯების გადადგმაზე და საკრებულოს უმრავლესობამ, ოპოზიციის წარმომადგენლებთან ერთად, ისაუბროს ქვეყნის და ქალაქის უკეთეს მომავალზე, წინააღმდეგ შემთხვევაში, ასე თვითკმაყოფილებით, შეუძლებელია რაიმე შედეგის მიღწევა. საუბრის ბოლოს, განაცხადა, რომ

ყველას წარმატებას უსურვებს ქვეყნისთვის გასაკეთებელ საქმეში და მიმართა „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებს: „ხომ არ გავიწყდებათ, რომ თბილისმა ოპოზიციას დაუჭირა მხარი და შესაბამისად, ეს მაინც უნდა იყოს თქვენთვის დამაფიქრებელი. თუნდაც რეგიონებში, სუსტი ოპოზიციის ნამუშევრის შედეგი იყო ის, რომ არჩევნებში გაიმარჯვეთ, თუ იქ კიდევ სხვა რაღაცას არ ჩაუღრმავდებით... უნდა დაფიქრდეთ და ითანამშრომლოთ ოპოზიციასთან და შესაბამისად, ერთობლივი კონკრეტული პროექტები განახორციელოთ“.

ზურაბ აბაშიძემ საკრებულოს წევრებს: ირაკლი ხელაძეს, ვლადიმერ ბოჟაძეს და აკაკი ალადაშვილს მიულოცა პარლამენტის წევრობა და წარმატებები უსურვა მომავალში საკმაოდ მნიშვნელოვან საქმიანობაში. განაცხადა, რომ პრობლემას ვერ ხედავს იმაში, რომ ოპოზიციონერი კოლეგებისთვისაც მიელოცა პარლამენტის წევრობა, თუმცა, მილოცვას აზრი არ აქვს, რადგან რამდენიმე თვეა საკრებულოში არ იმყოფებიან და ამასთანავე, არც ფიქრობენ პარლამენტში შესვლას. მისი თქმით, ოპოზიციის წარმომადგენლები არიან იმ რადიკალიზმის მძევლები, რომელშიც საკუთარი თავი თვითონვე მოიმწყვდიეს, რადგან პრობლემა არის ერთ რამეში - „სანამ არ აღიარებენ არჩევნებს და არ აღიარებენ დამარცხებას, მანამდე მათი გამარჯვება არასდროს არ იქნება. ვერასდროს ვერ მიაღწევენ გამარჯვებას, სანამ არ მოხდება დამარცხების აღიარება“. აქვე, განაცხადა, რომ მომავალ წელს, იქნება თვითმმართველობის არჩევნები და ოპოზიცია, თუ ასე გააგრძელებს, განწირულია მარცხისთვის. ზურაბ აბაშიძის თქმით, მათი ინტერესია დედაქალაქში კვლავ გააძლიერონ ის მუშაობა, რასაც წლების განმავლობაში აკეთებდნენ და ოპოზიცია იმისთვის არსებობს, რომ განახორციელოს პოზიციონირება ისეთ საკითხებზე, რასაც, შესაძლებელია, ხელისუფლება ვერ ხედავს. გამოეხმაურა მიხეილ კაკაურიძის სიტყვებს, რომ საკრებულოს უმრავლესობასა და ოპოზიციას შორის უნდა შედგეს კომუნიკაცია და განაცხადა, რომ თუ ოპოზიცია არ იქნება საკრებულოში, გაუგებარია, როგორ მოხდება კომუნიკაცია. თუნდაც, დღეს, განიხილება ბიუჯეტის პროექტი და ამასთანავე, არაერთი მნიშვნელოვანი საკითხი იქნა განხილული საკრებულოს კომისიების სხდომებზე, მაგრამ ოპოზიციის არცერთი წარმომადგენელი არ დასწრებია კომისიის სხდომებს და შესაბამისად, ოპოზიცია წარუმატებლობის პრობლემას უნდა ეძებდეს საკუთარ თავში და არა სახელმწიფოში და ხალხში. საუბრის ბოლოს, ზურაბ აბაშიძემ წარმატებები უსურვა ჩვენს ქვეყანას და განაცხადა, რომ მიუხედავად იმ არამარტივი პერიოდისა, რომელშიც საქართველო იმყოფება, დარწმუნებულია, ბევრი რამ დაიძლევა და კიდევ მეტი წარმატება ექნება ქვეყანას.

აკაკი ალადაშვილმა საკრებულოს წევრებს მიულოცა 26 ოქტომბრის უმნიშვნელოვანეს არჩევნებში გამარჯვება. განაცხადა, რომ ჩვენი ქვეყანა, პრაქტიკულად იდგა ყოფნა-არყოფნას შორის გზაგასაყარზე და მადლობა გადაუხადა „ქართული ოცნების“ ამომრჩევლებს, რომლებმაც მხარი დაუჭირეს მშვიდობით, ღირსებით, კეთილდღეობით ევროპისკენ წინსვლას. მადლობა გადაუხადა ასევე, ყველა ამომრჩეველს, რომელიც გამოცხადდა საარჩევნო უბანზე და დააფიქსირა თავისი პოზიცია და არჩევნებს მისცა ლეგიტიმაცია. აკაკი ალადაშვილმა მადლობა გადაუხადა საკრებულოს თითოეულ წევრს, განაცხადა, რომ ამ წლების განმავლობაში ბევრი რამ შეიძინა და დიდი გამოცდილებით მიდის საკრებულოდან, თუმცა, დარწმუნებულია, რომ, საკრებულოს წევრებთან ერთად, ძალიან ბევრ კარგ საქმეს გააკეთებს საბურთალოს რაიონისთვის, მთელი ქალაქისა და ქვეყნისთვის. საუბრის ბოლოს, მადლობა გადაუხადა ქალაქის მერს, მერიის თანამშრომლებს და კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ ისინი რჩებიან ერთი გუნდის წევრები და დარწმუნებულია, რომ კიდევ ბევრ კარგ საქმეს გააკეთებენ ჩვენი ქალაქისა და ქვეყნისთვის.

გიორგი ტყემალაძემ ირაკლი ხელაძეს, ვლადიმერ ბოჟაძეს და აკაკი ალადაშვილს კიდევ ერთხელ გადაუხადა მადლობა თბილისის საკრებულოში საქმიანობისთვის, წარმატებები უსურვა და მიმართა მათ: „ჩვენ კიდევ ბევრი ერთობლივი მნიშვნელოვანი საქმე გვაქვს წინ ჩვენი ქალაქის და ქვეყნის საკეთილდღეოდ“.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით:

დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე ბესიკ კალაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“;

მომხსენებელი: გიორგი ტყემალაძე

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის, შენიშვნებით, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერისთვის დაბრუნების თაობაზე“;

მომხსენებელი: გაიოზ თალაკვაძე
თანამომხსენებელი: ლევან მიქავა

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 15 დეკემბრის N33-89 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: გიორგი ტყემალაძე
თანამომხსენებელი: ლევან მიქავა

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის N13-42 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სპორტი უფროსი თაობისთვის“ (კოდი 08 06 07) ფარგლებში საცურაო აუზების და ფიტნეს დარბაზების მომსახურების მისაღებად, 60 წლის და 60 წელს გადაცილებული პირების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 9 აგვისტოს N13-76 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: გურამ ოქროპირიძე

6. „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესის დამტკიცებისა და პარკირების, სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანისადმი დაქვემდებარებული სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე ტრანსპორტირებისა და შენახვის, სატრანსპორტო საშუალების თვლების სპეციალური საშუალებით ბლოკირების საფასურების დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის N33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ვასილ აბულაძე

7. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ დაჩქარებული მომსახურების გაწევისა და მასზე დაწესებული საფასურის გადახდის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 20 ოქტომბრის N31-74 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ვასილ აბულაძე

8. „ცალკეული ხაზობრივი ნაგებობების განთავსებაზე თანხმობის გაცემის, აღნიშნული სამუშაოების საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემით ან სქემის გარეშე წარმოების წესის დამტკიცების შესახებ“;

მომხსენებელი: ვასილ აბულაძე

9. „ქალაქ თბილისში, გუდამაყრის შესახვევი N5-5ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.07.005.009) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

10. „ქალაქ თბილისში, ანნა პოლიტკოვსკაიას ქ.N12-ში მდებარე N56 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.14.05.008.394.01.01.056) და ქალაქ თბილისში, რამაზ შენგელიას ქ.N3-ში მდებარე N2 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.11.13.002.448.01.01.002) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

11. „ქალაქ თბილისში, დემეტრე თავდადებულის ქ.N2ა-ში მდებარე N115 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.10.06.006.287.01.01.115) და ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში, ვეფხისტყაოსანის ქ.N22, N24-ში მდებარე N121 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.72.14.035.963.01.01.121) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

12. „ქალაქ თბილისში, ზარზარე ბაირამაშვილის ქ.N31-ში მდებარე N1 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.11.17.027.014.01.01.001), ქალაქ თბილისში, ზურაბ პატარიძის ქ.N3-ში მდებარე N29 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.17.07.024.079.01.01.029) და ქალაქ თბილისში, დემეტრე თავდადებულის ქ. N19-ში მდებარე N73 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.10.06.002.041.01.01.073) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

13. „ქალაქ თბილისში, ტრიკოტაჟის ქ.N3/ვ.ნინუას ქ.N3-ში მდებარე N110 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.12.12.001.414.01.01.110) და ქალაქ თბილისში, წულუკიძის ქ.N35-ის მიმდებარედ N2 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.17.10.002.264.01.01.002) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

14. „ქალაქ თბილისში, წულუკიძის ქუჩა N35-ის მიმდებარედ, N01.17.10.002.264.01.02.017 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ფართის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

15. „ქალაქ თბილისში, თენგიზ ჩანტლაძის ქუჩა N21ბ-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.10.041.028.01.002) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმები თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

16. „ქალაქ თბილისში, ჯავახიშვილის ქუჩა N118-ში (საკადასტრო კოდები: N01.16.01.011.014.01.535 და N01.16.01.011.014.01.532) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

17. „ქალაქ თბილისში, გრიგოლ ფერაძის ქუჩა N5-ში, კორპუსი N3-ში (საკადასტრო კოდი: N01.72.14.013.542.01.008) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

18. „ქალაქ თბილისში, სერგო ზაქარიაძის ქუჩა N8-ში (საკადასტრო კოდი: N01.10.15.013.001.02.029) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

19. „ქალაქ თბილისში, ჰოსპიტლის შესახვევი N7-ში არსებული 43.08 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.12.023.049.01.560) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

20. „ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ფერდობი, IV მიკრო/რაიონი, კორპუსი N35-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.16.008.017) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

21. „ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ფერდობი, IV მიკრო/რაიონი, კორპუსი N35-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.16.008.017) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

22. „ქალაქ თბილისში, ბესარიონ ჭიჭინაძის ქუჩა N10ა-ში, კორპუსი N2-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.23.009.059.01.511) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

23. „ქალაქ თბილისში, გმირი კურსანტების მე-3 შესახვევი N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.05.013.036.01.019) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

24. „ქალაქ თბილისში, ქიზიყის ქუჩა N32-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.24.007.901.01.500) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

25. „ქალაქ თბილისში, მესხეთის ქუჩა N10/კაკაბეთის ქუჩა N7ა-ში მდებარე 13.65 კვ.მ. ფართის (საკადასტრო კოდი: N01.17.09.055.009.01.500) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

26. „ქალაქ თბილისში, თოიძის ქუჩა N21-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.06.049.002.01.508) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

27. „ქალაქ თბილისში, ეგნატე ნინოშვილის ქუჩა N57-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.01.014.019.02.019ა) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

28. „ქალაქ თბილისში, დიდი დიღომის დასახლება მე-3 მიკრორაიონის კორპუსი N23-ში (საკადასტრო კოდი: N01.10.08.006.003.01.054) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

29. „ქალაქ თბილისში, რაფაელ აგლაძის ქუჩა N30-ში (საკადასტრო კოდი: N01.13.05.009.015.01.514) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

30. „ქალაქ თბილისში, იაკობ ხვედელიანის ჩიხი N21-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.25.002.107.01.500) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

31. „ქალაქ თბილისში, ორხევის დასახლებაში, ახვლედიანის ქუჩა N21-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.10.041.105.01.500) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

32. „ქალაქ თბილისში, ველის სასაფლაოზე არსებული 710 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.19.31.004.103) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ. 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

33. „ქალაქ თბილისში, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი N63ბ-ში არსებული 13.88 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.13.039.003.01.529) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

34. „ქალაქ თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი N115-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.14.001.031) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 20 ოქტომბრის N491 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

35. „ქალაქ თბილისში, ბარბარე ერისთავი-ჯორჯაძის მე-2 შესახვევი N4-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.03.024.004.02.503) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

36. „ქალაქ თბილისში, გრიგოლ ფერაძის ქუჩა N5-ში, კორპუსი N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.72.14.013.429.01.558) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

37. „ქალაქ თბილისში, ფხოვის ქ.N3-ის მიმდებარედ არსებული 53 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.15.04.020.034) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „დელისთვის“ (ს/ნ. 400267117) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

38. „ქალაქ თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზ. N5-ის მიმდებარედ არსებული 53 კვ.მ. მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: N01.14.14.010.032) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „უნივერსისთვის“ (ს/ნ. 204915333) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

39. „ქალაქ თბილისში, ალ. ყაზბეგის გამზირი N2-ში არსებული 24 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.14.014.053) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ბიგ სემისთვის“ (ს/ნ. 405374107) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

40. „ქ.თბილისში, შარტავას ქუჩა N14ა-ს მიმდებარედ არსებული, 4 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.13.017.033) პირდაპირი განკარგვის წესით, ელისო სარაულისთვის (პ/ნ. 01003003397) იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

41. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ თბილისში, ონკოლოგიურ ცენტრსა და ინტენსიფიკაციის გზას შორის 600 კვ.მ. მიწის ნაკვეთისა (საკადასტრო კოდი: N01.14.16.015.515) და ქალაქ თბილისში, მარტყოფის შესახვევი N8-ში 625 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.17.01.026.017) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

42. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2011 წლის 19 ივლისის №ე-35-13-820 აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმით (ადმინისტრაციული დაპირება) გათვალისწინებული პირობის ცვლილების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

43. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „თაბორი რიზორთსს“ შორის 2016 წლის 13 მაისს გაფორმებულ პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-308-26-19647 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

44. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და შპს „არომას“ (ს/ნ 245599990) შორის 2022 წლის 23 აგვისტოს გაფორმებული „ქ.თბილისში, დიდი დიღმის დასახლება, III და IV მიკრორაიონებს შორის N01.10.07.007.104 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 19000 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული შპს „არომასთვის“ (ს/ნ. 245599990), კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებით

გათვალისწინებული პირგასამტეხლოს დაკისრებისაგან შპს „არომას“ (ს/ნ. 245599990) გათავისუფლების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

45. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და შპს „ინვესტ მშენ 1“-ს (ს/ნ. 425368149) შორის 2022 წლის 19 სექტემბერს გაფორმებული „ქ. თბილისში, დიდ დიღომში, III მიკრო რაიონში, კორპუსი N4-ის მიმდებარედ, N01.10.07.007.177 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 6002 კვ.მ. ფართობის მქონე მიწის ნაკვეთის კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს დაკისრებისაგან შპს „ინვესტ მშენ 1“-ის (ს/ნ. 425368149) გათავისუფლების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

46. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „კონსალტინგ გრუპს“ (საფირმო სახელწოდების ცვლილების საფუძველზე - შპს „სითი ბოქსი“, ს/ნ. 439402843) შორის 2017 წლის 31 მაისს გაფორმებული იჯარის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევისთვის დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან შპს „სითი ბოქსის“ (ს/ნ. 439402843) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

47. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „სითი ბოქსს“ (ს/ნ. 439402843) შორის 2018 წლის 28 სექტემბერს გაფორმებული „უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის“ №-427-1-22706 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევისთვის დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან შპს „სითი ბოქსის“ (ს/ნ. 439402843) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

48. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობასა და შპს „ლოჯიკ გრუპს“ (ს/ნ. 205201191) შორის 2007 წლის 08 მაისს გაფორმებულ „შპს „სპორტის სასახლის“ ქალაქ თბილისის ადგილობრივ საკუთრებაში არსებული 100%-იანი წილის თხოვების სახით (მართვის უფლებით) გადაცემის თაობაზე“ ხელშეკრულებაში (სანოტარო რეესტრში რეგისტრაციის N2450/1) ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე შეთანხმების მოწონებისა და შპს „ლოჯიკ გრუპის“ (ს/ნ. 205201191) მიმართ რიგ ღონისძიებათა განხორციელების შესახებ“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

49. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ას ჯორჯიას“ (ს/ნ 406024270) შორის 2012 წლის 26 სექტემბერს გაფორმებულ „ქ.თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით ნასყიდობის შესახებ“ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით რიგ ღონისძიებათა განხორციელების თაობაზე შეთანხმების მოწონებისა და შპს „ას ჯორჯიას“ (ს/ნ 406024270) მიმართ რიგ ღონისძიებათა განხორციელების შესახებ“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

50. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ბიძინა კვერნაძის ქუჩა N9-ში არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.10.13.033.004, ფართობი - 1060 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

51. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, სანდრო ეულის ქუჩა N3-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.14.05.007.719, ფართობი - 9354 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

52. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, ვეფხისტყაოსნის ქუჩა, N50-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.72.14.036.408, ფართობი - 1600 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

53. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ნუცუბიძის ფერდობი, მე-2, მე-3, მე-4 მ/რ-ის მიმდებარედ, ინტენსიფიკაციის გზის ზემოთ (ნაკვ. 15/119)-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.14.16.015.259, ფართობი - 600 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

54. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ნუცუბიძის I მ/რ, კორპუსი N17-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.14.01.007.413, ფართობი - 19160 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

55. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ირაკლი ფარჯიანის ქუჩა, N11-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.10.10.022.342, ფართობი: 6040 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

56. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, საქართველოს ერთიანობისთვის მებრძოლთა ქუჩა, N63-ში არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.19.20.004.032, ფართობი - 867 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

57. „მისამართებზე - ქ.თბილისი, საირმეს ქ.N37 (ს/კ: 01.10.14.024.036), ქ.თბილისი, მუხაძის ქ.N4 (ს/კ. 01.14.11.024.004), ქ.თბილისი, ი.აბაშიძის ქ.N55 (ს/კ. 01.14.11.024.012) - არსებული დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისა და დაზარალებულ პირთა მიმართ გასაცემი ვალდებულებების შესრულებისათვის გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

58. „შპს „იქსორი წერეთელზე 2“ -ის (ს/ნ 405408820) მიმართ მისამართებზე - ქ.თბილისი, ბათუმის ქ.N11, ქ.თბილისი, ა.წერეთლის გამზირი N19-21 (საკადასტრო კოდი: 01.13.07.008.003) და ქ.თბილისი, ა.წერეთლის გამზირი N23-25 (საკადასტრო კოდი: 01.13.07.008.002) არსებული

დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის დამატებითი/დაზუსტებითი ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

59. „ქ.თბილისი, მარიჯანის ქ.N2-ში (ს/კ 01.14.03.039.007) მდებარე დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისა და დაზარალებულ პირთა დაკმაყოფილების მიზნით შპს „საბურთალოს“ (ს/ნ. 405411095) და შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/ნ. 204460957) მიმართ დამატებითი/დაზუსტებითი ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

60. „ქ.თბილისში, ბეჟანიშვილის ქ.N11-ში (ს/კ. 01.12.12.005.001) არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებით გაცემული ხელშემწყობი ღონისძიებების ფარგლებში, შპს „შიზის“ (ს/ნ. 406368728) მიერ შესრულებული ვალდებულების დადასტურების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

61. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

62. „ქალაქ თბილისში, სოფელ წავკისში, დავით აღმაშენებლის ქუჩა N41, N41ა; ქალაქი თბილისი, სოფელი წავკისი, ვახტანგ გორგასლის I ჩიხი, N1, N3-ში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N81.02.18.019; N81.02.18.101; N81.02.18.100; N81.02.21.429; N81.02.18.020; N81.02.18.515) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

63. „ქალაქ თბილისში, მიხეილ გრიგორაშვილის ქუჩა N19-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.24.007.917; N01.19.24.007.911; N01.19.24.007.908; N01.19.24.007.916-ის ნაწილი) სასაწყობე კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

64. „ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის IV მიკრორაიონის მიმდებარედ; ქალაქ თბილისში, ავთო ვარაზის ქუჩაზე არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.14.01.001.419; N01.14.01.001.420; N01.14.01.001.421; N01.14.01.001.505-ის ნაწილი) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

65. „ქალაქ თბილისში, სოფ. დიღომი „ჩალიპირები“; ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, ნინო აბაშიძე-ორბელიანის ქუჩა, N4, N6; ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, ფატმანის ქუჩა, N5-ში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდი: N01.72.14.035.999; N01.72.14.035.944; N01.72.14.035.945; N01.72.14.035.162; N01.72.14.035.160; N01.72.14.035.103; N01.72.14.035.163) და დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

66. „ქალაქ თბილისში, სოფელ თხინვალაში, იოსებ კეჭაყმაძის IV შესახვევი, N8, N6, N4-ში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N72.16.23.475; N72.16.23.474; N72.16.15.251) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

67. „ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი, N200-ის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, ფარნავაზის გამზირის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, გამზირი ფარნავაზი, ჰიპერმარკეტ „გუდვილის“ მიმდებარედ (ნაკვეთი 03/003); ქალაქი თბილისი, ფარნავაზ მეფის გამზირი, N5, N 9; ქალაქი თბილისი, ხეივანი დავით აღმაშენებელი, ფერდობი - 1; ქ.თბილისი, ფარნავაზ მეფის N5-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.10.06.005.032; N01.10.06.005.011; N01.10.06.005.007; N01.10.06.003.008; N01.10.06.003.009; N01.10.06.003.003; N01.10.06.003.006; N01.10.06.011.086; N01.10.06.005.009; N01.10.06.005.010; N01.10.06.003.053) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

68. „ქალაქ თბილისში, ევგენი ხარაძის ქუჩა N4ა; ქალაქ თბილისში, ქერჩის ქუჩის მიმდებარედ (ნაკვეთის 19/089); ქალაქ თბილისში, ქერჩის ქუჩა N1; ქალაქ თბილისში ქერჩის ქუჩა N1-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.11.12.019.144, N01.11.12.019.155, N01.11.12.019.160, N01.11.12.019.816, N01.11.12.019.161) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

69. „ქალაქ თბილისში, წყნეთის გზატკეცილი, N58-ში არსებულ მიწის ნაკვეთსა (საკადასტრო კოდი: N01.14.09.004.038) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე საცხოვრებელი და საუნივერსიტეტო კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

70. „ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში, თელოვანში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.72.14.053.362; N01.72.14.053.745; N01.72.14.053.744; N01.72.14.053.190; N01.72.14.053.191; N01.72.14.053.739; N01.72.14.053.110; N01.72.14.053.724; N01.72.14.003.885; N01.72.14.053.951-ის ნაწილი) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ერთბინიანი ინდივიდუალური და სააგარაკე-დასასვენებელი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

71. „ქალაქ თბილისში, გ.ხმელინცკის ქუჩა N49-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.17.11.027.066) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

72. „ქ.თბილისში, დაბა წყნეთში, ე.წ. „ნუშის ბაღი“-ს ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.20.01.010.115; N01.20.01.010.047; N01.20.01.010.109; N01.20.01.010.043; N01.20.01.010.068; N01.20.01.010.114; N01.20.01.010.060; N01.20.01.010.025; N01.20.01.010.023; N01.20.01.010.042; N01.20.01.010.467; N01.20.01.010.108; N01.20.01.010.138; N01.20.01.010.067; N01.20.01.010.111; N01.20.01.010.099; N01.20.01.010.003; N01.20.01.010.052;

N01.20.01.010.096; N01.20.01.010.438; N01.20.01.117.154; N01.20.01.010.080; N01.20.01.010.083; N01.20.01.010.224; N01.20.01.010.130; N01.20.01.010.116; N01.20.01.010.192; N01.20.01.010.137; N01.20.01.010.174; N01.20.01.010.171; N01.20.01.010.318; N01.20.01.010.082; N01.20.01.010.408; N01.20.01.010.097; N01.20.01.010.081; N01.20.01.010.355; N01.20.01.010.458; N01.20.01.010.426; N01.20.01.010.090; N01.20.01.010.085; N01.20.01.010.120; N01.20.01.010.036; N01.20.01.010.402; N01.20.01.010.182; N01.20.01.010.180; N01.20.01.010.327; N01.20.01.010.429; N01.20.01.010.084; N01.20.01.010.465; N01.20.01.010.359; N01.20.01.010.079; N01.20.01.010.198; N01.20.01.010.302; N01.20.01.010.197; N01.20.01.010.472; N01.20.01.010.303; N01.20.01.010.113; N01.20.01.010.098; N01.20.01.010.469; N01.20.01.010.087; N01.20.01.010.349; N01.20.01.010.428; N01.20.01.010.473; N01.20.01.010.350; N01.20.01.010.437; N01.20.01.010.439; N01.20.01.010.002; N01.20.01.010.055) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 7 სექტემბრის N410 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

73. „ქალაქ თბილისში, მთაწმინდა-კრწანისის რაიონში, „ორთაჭალას ტურფას“ განაშენიანების პროექტის შესათანხმებლად“ ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2005 წლის 28 სექტემბრის N21/614 ბრძანებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

74. „ქალაქ თბილისში, მექანიზაციის ქუჩა N1-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.12.12.002.078; N01.12.12.002.077) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 იანვრის N21 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

75. „ქალაქ თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი N49, N49-ა; N49-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.14.07.008.178; N01.14.07.008.180; N01.14.07.008.182) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 აგვისტოს N390 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

76. „ქალაქ თბილისში, ქეთევან წამებულის გამზირი N65, N69; ჭრელაშვილის ქ.N4-ის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, უჯარმის II შესახვევი, N2-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.17.13.038.059; N01.17.13.038.009; N01.17.13.038.050) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 აპრილის N202 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

77. „ქალაქ თბილისში, სოფელ შინდისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N81.02.06.614; N81.02.06.613; N81.02.06.608) სააგარაკე-დასასვენებელი ერთბინიანი საცხოვრებელი სახლებისა და მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის

განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 12 ივლისის N343 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

78. „ქალაქ თბილისში, კრწანისის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.18.06.013.013, ნაკვეთი 13/13) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 14 აგვისტოს N200 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

79. „ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, დიდი დიღმის დასახლება, IV მიკრორაიონი მიმდებარედ (ნაკვეთი 07/018) არსებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 28 ივლისის N314 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

80. „ქ.თბილისში, ვაკის რაიონში, უნივერსიტეტის ტერიტორიასა და ქავთარაძის ქუჩას შორის არსებულ მიწის ნაკვეთებზე“ ქ.თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2008 წლის 27 ივნისის N01/783 ბრძანებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

81. „ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.17.02.001.680) საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

82. „ქალაქ თბილისში, სოფელ თხინვალაში; ქალაქი თბილისი, სოფელი თხინვალა, იოსებ კეჭაყმაძის IV შესახვევი, N16; N14-ში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდი: N72.16.23.559, N72.16.15.257, N72.16.23.617, N72.16.23.618, N01.72.58.031.034, N72.16.23.077, N72.16.23.074, N72.16.15.256, N72.16.23.078, N72.16.33.142, N01.72.58.031.036) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

83. „ქალაქ თბილისში, სოფელი თხინვალაში, თელეების მიწაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N72.16.23.727; N72.16.23.021; N72.16.23.726; N72.16.23.020) ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

84. „ქალაქ თბილისში, ტაბახმელაში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდი: N81.02.21.379, N81.02.21.439, N81.02.21.440, N81.02.21.380, N81.02.21.290, N81.02.21.289, N81.02.21.400, N81.02.21.401, N81.02.21.403, N81.02.21.426) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების

განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

85. „ქალაქ თბილისში, გორგასლის ქუჩა N69-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.18.06.019.002) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

86. „ქალაქ თბილისში, სოფ. გლდანი, ავშნიანში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: 72.13.41.749; 72.13.41.632; 72.13.38.233; 72.13.41.446; 72.13.41.447; 72.13.41.439; 72.13.41.441; 72.13.41.637; 72.13.41.679; 72.13.41.633; 72.13.41.644; 72.13.41.657; 72.13.41.658; 72.13.41.737; 72.13.41.056; 72.13.41.359; 72.13.41.345; 72.13.41.053; 72.13.41.023; 72.13.38.235 72.13.38.236) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

87. „ქალაქ თბილისში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N81.02.95.368) განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

88. „ქალაქ თბილისში, ჩარგლის ქუჩა N79; ქალაქი თბილისი, ჩარგლის ქუჩა N79-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: 01.12.04.001.076, 01.12.04.001.252, 01.12.14.001.155, 01.12.04.001.030, 01.12.14.001.154, 01.12.04.001.082) და მიმდებარედ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

89. „ქალაქ თბილისში, ელგუჯა ამაშუკელის ქუჩა, N1, N3-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.14.16.014.042; N01.14.16.014.024) და მიმდებარედ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

90. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის N14-59 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ლევან აბაშიძე

91. „ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, უნივერსიტეტის ქუჩაზე მდებარე ე.წ. თბილისი არენასთვის ოთარ ქორქიას და ნოდარ ჯორჯიკიას სახელობის თბილისის სპორტის სასახლის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ლევან აბაშიძე

92. „ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, კოჯრის გასასვლელისთვის და მასთან არსებული უსახელო ხეივნისთვის ამაღლების ხეივნის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ლევან აბაშიძე

93. „ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ნიკო მუსხელიშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის მეცნიერისა და მთარგმნელის გივი გაჩეჩილაძის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ლევან აბაშიძე

94. „ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, კიკეთში, გრიგოლ გიორგაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და ერთი შესახვევისთვის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრის სამსონ დადიანის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ლევან აბაშიძე

95. „ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ავთო ვარაზის ქუჩასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის ავთო ვარაზის I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ლევან აბაშიძე

96. „ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ხევძმარის ქუჩისთვის და მასთან არსებული ერთი ჩიხისთვის კესანების სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ლევან აბაშიძე

97. „ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, აბაის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის ელგუჯა რუხაიას სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ლევან აბაშიძე

98. „ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, იოსებ იმედაშვილის ქუჩის გავრცელების არეალის კორექტირების შესახებ“;

მომხსენებელი: ლევან აბაშიძე

99. „ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, წავკისში, ნეგოს ტყის ქუჩის გაგრძელებისა და მასთან არსებული ორი უსახელო შესახვევისთვის ნეგოს ტყის I და II შესახვევების სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ლევან აბაშიძე

100. „ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ბარალეთის ქუჩის მონაკვეთისთვის ბარალეთის I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ლევან აბაშიძე

101. „ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ბარალეთის ქუჩის მონაკვეთისთვის ლიბანის I გასასვლელის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ლევან აბაშიძე

102. „ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, თხინვალაში, ნუგზარ აფხაიძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის მსახიობის გიორგი გაბელაშვილის სახელის მინიჭების შესახებ“.

მომხსენებელი: ლევან აბაშიძე

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე ბესიკ კალაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ საკითხი სხდომაზე წარადგინა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ და აღნიშნა, რომ ბესიკ კალაძე უკვე დიდი ხანია საკმაოდ წარმატებით ასრულებს გლდანის რაიონის გამგებლის მოვალეობას. აქვე განაცხადა, რომ დარწმუნებულია, საკრებულოს წევრები ბესიკ კალაძის გამგებლის თანამდებობაზე დანიშვნასთან დაკავშირებით მიიღებენ დადებით გადაწყვეტილებას, რაც მას კიდევ უფრო ხელს შეუწყობს საქმიანობაში და წარმატებები უსურვა.

შალვა ოგბაიძემ კოლეგებს მიულოცა საქართველოს პარლამენტის წევრობა და წარმატებები უსურვა მათ. ისაუბრა ბესიკ კალაძეზე და აღნიშნა, რომ მისი ერთ-ერთი ყველაზე მთავარი და ძვირფასი თვისება ადამიანებთან ურთიერთობა და კომუნიკაციაა, რისი დასტურიც არის მისი ხელმძღვანელობის პერიოდში გლდანში განხორციელებული პროექტები.

ოთარ გრიგოლიამ წარმატებები უსურვა ბესიკ კალაძეს და განაცხადა, რომ დარწმუნებულია, ის იქნება ძალიან კარგი გამგებელი, გააკეთებს იმას, რაც მის ძალებშია და ეცდება ამ უბანს და ქალაქს გაუკეთოს უფრო მეტი, ვიდრე კეთდებოდა წლების განმავლობაში, რაშიც საკრებულოს წევრები მაქსიმალურად დაუჭერენ მხარს.

კონსტანტინე ზარნაძემ „ქართული ოცნების“ გუნდს მიულოცა 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვება. განაცხადა, რომ „ქართულმა ოცნებამ“ გლდანის რაიონში მიიღო უპრეცედენტოდ მაღალი მხარდაჭერა, როგორც პროცენტულად, ასევე რაოდენობრივად, რაც იმის დამსახურებაა, რომ სამი წლის განმავლობაში ადგილობრივი მუნიციპალიტეტი ძალიან ახლოს იყო გასული მოსახლეობასთან. ისაუბრა ბესიკ კალაძეზე და აღნიშნა, რომ ის წელიწადზე მეტია ასრულებს გლდანის რაიონის გამგებლის მოვალეობას, მადლობა გადაუხადა მას გაწეული შრომისთვის და წარმატებები უსურვა.

მიხეილ კაკაურიძემ მიმართა ბესიკ კალაძეს, რომ ისურვებდა მას საკრებულოს ოპოზიციის წევრებთან ჰქონდეს ისეთივე კომუნიკაცია, როგორიც საკრებულოს უმრავლესობის წევრებთან და ოპოზიციის მიერ დაყენებული საკითხები გადაწყვიტოს სამართლებრივ ფარგლებში და არა პოლიტიკური მოსაზრებების გათვალისწინებით, რადგან ეს არის თითოეული გლდანელის და თბილისის ხვალინდელი დღე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

ბესიკ კალაძემ მადლობა გადაუხადა საკრებულოს წევრებს მხარდაჭერისთვის და განაცხადა, რომ გლდანი, სხვა რაიონებთან ერთად, იქნება ერთ-ერთი სამაგალითო, კიდევ უფრო მწვანე, კიდევ უფრო მეტად მოგვარებული პრობლემებით და ნაკლები გამოწვევებით.

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის, შენიშვნებით, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერისთვის დაბრუნების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა გაიოზ თალაკვაძემ.

გიორგი ტყემალაძემ აღნიშნა, რომ საკრებულოს კომისიებმა განიხილეს 2025 წლის თბილისის ბიუჯეტის პროექტი, რომელიც დღეს, კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურის თანახმად, შენიშვნებით უბრუნდება თბილისის მერიას. აქვე აღნიშნა, რომ საკრებულომ წერილობით ასახა თავისი რეკომენდაციები და განაცხადა, რომ ბიუჯეტის საბოლოო პროექტის წარმოდგენამდე აქტიური კონსულტაციები ექნება მერიის შესაბამის სამსახურებთან.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 15 დეკემბრის N33-89 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი სხდომაზე წარადგინა მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა გაიოზ თალაკვაძემ და განმარტა, რომ ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა იზრდება 19000000 ლარით და ასევე, წარმოდგენილია შიდა გადანაწილებები, ძირითადად, სატრანსპორტო კომპანიის მიმართულებით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება არ იქნა მიღებული.

რადიოფიცირებისა და კენჭისყრის პროცედურების მონიტორინგის კომპიუტერული სისტემაში დაფიქსირდა ტექნიკური ხარვეზი და აქედან გამომდინარე, საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი ტყემალაძემ განმეორებით კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის N13-42 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი ცვლილებით სააგენტოს უფლებამოსილებაში გაიწერება, რომ, გარკვეულ შემთხვევებში, მაგალითად, როდესაც არქიტექტურის სამსახურში მიმდინარეობს წარმოება, განაცხადოს მუნიციპალიტეტის ან დაურეგისტრირებელი ქონების გარკვეულწილად გამოყენების თაობაზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სპორტი უფროსი თაობისთვის“ (კოდი 08 06 07) ფარგლებში საცურაო აუზების და ფიტნეს დარბაზების მომსახურების მისაღებად, 60 წლის და 60 წელს გადაცილებული პირების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 9

აგვისტოს N13-76 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა საკრებულოს სპორტისა და ახლგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე გურამ ოქროპირიძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი ცვლილებით, ქვეპროგრამაში „სპორტი უფროსი თაობისთვის“ ჩართვის მსურველ ობიექტებს შეეძლებათ მონაწილეობა მიიღონ ფიტნეს დარბაზის და საცურაო აუზის ცალ-ცალკე არსებობის შემთხვევაში და აღარ იქნება ორივე ობიექტის ერთ სივრცეში არსებობის ვალდებულება. აქვე აღნიშნა, რომ, როგორც ფიტნეს ინსტრუქტორს, ასევე, ექიმს უნდა ჰქონდეს ლიცენზიის დამადასტურებელი სერტიფიკატი.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

6. „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესის დამტკიცებისა და პარკირების, სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანისადმი დაქვემდებარებული სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე ტრანსპორტირებისა და შენახვის, სატრანსპორტო საშუალების თვლების სპეციალური საშუალებით ბლოკირების საფასურების დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის N33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ვასილ აბულაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი ცვლილება, პარკირების ორგანიზების მიზნით, ითვალისწინებს დედაქალაქში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის საცნობი ნიშნის გაცემას, კერძოდ, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, ემატება გარკვეული კატეგორია.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

7. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ დაჩქარებული მომსახურების გაწევისა და მასზე დაწესებული საფასურის გადახდის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 20 ოქტომბრის N31-74 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ვასილ აბულაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი ცვლილებით, ხაზობრივ ნაგებობებთან დაკავშირებით ზუსტდება როგორც თანხები, ასევე, დაჩქარებულ წესთან დაკავშირებით სამუშაოების მომსახურება.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე თინათინ ნიბლოშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

8. „ცალკეული ხაზობრივი ნაგებობების განთავსებაზე თანხმობის გაცემის, აღნიშნული სამუშაოების საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემით ან სქემის გარეშე წარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ვასილ აბულაძემ და განმარტა, რომ მოქმედ კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე, წარმოდგენილია ახალი წესი, რომელიც ითვალისწინებს საგზაო მოძრაობის მონაწილეთა უსაფრთხო გადაადგილებას, ხაზობრივ ნაგებობებთან დაკავშირებით.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე თინათინ ნიბლოშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

9. „ქალაქ თბილისში, გუდამაყრის შესახვევი N5-5ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.07.005.009) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 264 კვ.მ. ფართის გადაცემა ექვსი პირისთვის.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე თინათინ ნიბლოშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

10. „ქალაქ თბილისში, ანნა პოლიტკოვსკაიას ქ.N12-ში მდებარე N56 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.14.05.008.394.01.01.056) და ქალაქ თბილისში, რამაზ შენგელიას ქ.N3-ში მდებარე N2 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.11.13.002.448.01.01.002) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ პროექტი ითვალისწინებს ყიფშიძის ქ.N5ბ-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე დაუმთავრებელი მშენებლობის მესაკუთრეებისთვის ქონების გადაცემას, მათ მიერ საკუთრებაში არსებული ქონების დათმობის სანაცვლოდ. ამ შემთხვევაში წარმოდგენილია 82 კვ.მ. და 71 კვ.მ. ფართების გადაცემა ორი პირისთვის.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე თინათინ ნიბლოშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

11. „ქალაქ თბილისში, დემეტრე თავდადებულის ქ.N2ა-ში მდებარე N115 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.10.06.006.287.01.01.115) და ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში, ვეფხისტყაოსანის ქ.N22, N24-ში მდებარე N121 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.72.14.035.963.01.01.121) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს

წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ პროექტი ითვალისწინებს ყიფშიძის ქ.N5ბ-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე დაუმთავრებელი მშენებლობის მესაკუთრეებისთვის ქონების გადაცემას, მათ მიერ საკუთრებაში არსებული ქონების დათმობის სანაცვლოდ. ამ შემთხვევაში წარმოდგენილია 84 კვ.მ. და 50 კვ.მ. ფართების გადაცემა დაზარალებულებისთვის. აქვე აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტისთვის გადმოსაცემი ქონება 2419 ლარით აღემატება ზემოთ ხსენებული პირებისთვის გადასაცემ ქონებას.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე თინათინ ნიბლოშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

12. „ქალაქ თბილისში, ბარბარე ბაირამაშვილის ქ.N31-ში მდებარე N1 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.11.17.027.014.01.01.001), ქალაქ თბილისში, ზურაბ პატარიძის ქ.N3-ში მდებარე N29 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.17.07.024.079.01.01.029) და ქალაქ თბილისში, დემეტრე თავდადებულის ქ. N19-ში მდებარე N73 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.10.06.002.041.01.01.073) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ პროექტი ითვალისწინებს ყიფშიძის ქ.N5ბ-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე დაუმთავრებელი მშენებლობის მესაკუთრეებისთვის ქონების გადაცემას, მათ მიერ საკუთრებაში არსებული ქონების დათმობის სანაცვლოდ. ამ შემთხვევაში წარმოდგენილია 86 კვ.მ., 58 კვ.მ. და 58 კვ.მ. ფართების გადაცემა დაზარალებულისთვის. აქვე აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტისთვის გადმოსაცემი ქონება 500 ლარით აღემატება ზემოთ ხსენებული პირისთვის გადასაცემ ქონებას.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე თინათინ ნიბლოშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

13. „ქალაქ თბილისში, ტრიკოტაჟის ქ.N3/ვ.ნინუას ქ.N3-ში მდებარე N110 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.12.12.001.414.01.01.110) და ქალაქ თბილისში, წულუკიძის ქ.N35-ის მიმდებარედ N2 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.17.10.002.264.01.01.002) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ პროექტი ითვალისწინებს ყიფშიძის ქ.N5ბ-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე დაუმთავრებელი მშენებლობის მესაკუთრეებისთვის ქონების გადაცემას, მათ მიერ საკუთრებაში არსებული ქონების დათმობის სანაცვლოდ. ამ შემთხვევაში წარმოდგენილია 76 კვ.მ. და 65 კვ.მ. ფართების გადაცემა დაზარალებულისთვის. აქვე აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტისთვის გადმოსაცემი ქონება 3947 ლარით აღემატება ზემოთ ხსენებული პირისთვის გადასაცემ ქონებას.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე თინათინ ნიბლოშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 20

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

14. „ქალაქ თბილისში, წულუკიძის ქუჩა N35-ის მიმდებარედ, N01.17.10.002.264.01.02.017 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ფართის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია ვარკეთილი III-ში მდებარე ე.წ. „წითელი აგურის“ კორპუსების ფარგლებში 39 კვ.მ. მშენებარე ფართის განკარგვა, რომლის სანაცვლოდაც ფიზიკური პირი მუნიციპალიტეტს უთმობს მოთხოვნას „წითელი აგურის“ კორპუსებში.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე თინათინ ნიბლოშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 20

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

15. „ქალაქ თბილისში, თენგიზ ჩანტლაძის ქუჩა N21ბ-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.10.041.028.01.002) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმები თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 37 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი პირისთვის.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე თინათინ ნიბლოშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

16. „ქალაქ თბილისში, ჯავახიშვილის ქუჩა N118-ში (საკადასტრო კოდები: N01.16.01.011.014.01.535 და N01.16.01.011.014.01.532) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 20.60 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი პირისთვის.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე თინათინ ნიბლოშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 20

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

17. „ქალაქ თბილისში, გრიგოლ ფერაძის ქუჩა N5-ში, კორპუსი N3-ში (საკადასტრო კოდი: N01.72.14.013.542.01.008) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 38.09 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი პირისთვის.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე თინათინ ნიბლოშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

18. „ქალაქ თბილისში, სერგო ზაქარიაძის ქუჩა N8-ში (საკადასტრო კოდი: N01.10.15.013.001.02.029) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 151 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი პირისთვის.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე თინათინ ნიბლოშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

19. „ქალაქ თბილისში, ჰოსპიტლის შესახვევი N7-ში არსებული 43.08 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.12.023.049.01.560) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 43 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი პირისთვის.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე თინათინ ნიბლოშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

20. „ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ფერდობი, IV მიკრო/რაიონი, კორპუსი N35-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.16.008.017) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი და მომდევნო საკითხი ეხება ყოფილი „620 საბინაო სამშენებლო კოოპერატივის“ წევრებს, რომლებიც დღეს ცხოვრობენ იმ მიწის ნაკვეთზე, რომელიც მათ გამოყოფილი ჰქონდათ კოოპერატიული ბინათმშენებლობის პროექტისთვის. სხვა კოოპერატივების წევრებისგან განსხვავებით, მათ მოახერხეს ფიზიკურად დაეკავებინათ ტერიტორია, შესაბამისად, უკვე წლებია ფაქტობრივად ფლობენ ქონებას და აქედან გამომდინარე, წარმოდგენილია მათთვის ფართების პრივატიზება ერთ ლარად, რის სანაცვლოდაც ისინი თმობენ კოოპერატიულ საშინაო ვალს. აქვე აღნიშნა, რომ ამ და მომდევნო პროექტის ფარგლებში წარმოდგენილია ოცდაოთხი პირის დაკმაყოფილება, ხოლო ეტაპობრივად, სააგენტო წარმოადგენს სხვა პირებისთვის ქონების გადაცემას ისე, რომ დაკანონდება მთელი კორპუსი და იქ მაცხოვრებლები დათმობენ საშინაო ვალს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

21. „ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ფერდობი, IV მიკრო/რაიონი, კორპუსი N35-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.16.008.017) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტი წინა საკითხის ანალოგიურია და ამ შემთხვევაში ფართების გადაცემა ხდება ათი პირისთვის.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

22. „ქალაქ თბილისში, ბესარიონ ჭიჭინაძის ქუჩა N10ა-ში, კორპუსი N2-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.23.009.059.01.511) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 48 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი პირისთვის.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

23. „ქალაქ თბილისში, გმირი კურსანტების მე-3 შესახვევი N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.05.013.036.01.019) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 17 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი პირისთვის.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 21

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

24. „ქალაქ თბილისში, ქიზიყის ქუჩა N32-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.24.007.901.01.500) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 25 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი პირისთვის.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

25. „ქალაქ თბილისში, მესხეთის ქუჩა N10/კაკაბეთის ქუჩა N7ა-ში მდებარე 13.65 კვ.მ. ფართის (საკადასტრო კოდი: N01.17.09.055.009.01.500) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 13.65 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი პირისთვის.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

26. „ქალაქ თბილისში, თოიძის ქუჩა N21-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.06.049.002.01.508) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 39 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი პირისთვის.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

27. „ქალაქ თბილისში, ეგნატე ნინოშვილის ქუჩა N57-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.01.014.019.02.019ა) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 17.05 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი პირისთვის.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

28. „ქალაქ თბილისში, დიდი დიღომის დასახლება მე-3 მიკრორაიონის კორპუსი N23-ში (საკადასტრო კოდი: N01.10.08.006.003.01.054) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 56 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი პირისთვის.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

29. „ქალაქ თბილისში, რაფაელ აგლაძის ქუჩა N30-ში (საკადასტრო კოდი: N01.13.05.009.015.01.514) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 55 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი პირისთვის.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

30. „ქალაქ თბილისში, იაკობ ხვედელიანის ჩიხი N21-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.25.002.107.01.500) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 153 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი პირისთვის.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

31. „ქალაქ თბილისში, ორხევის დასახლებაში, ახვლედიანის ქუჩა N21-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.10.041.105.01.500) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 49 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი პირისთვის.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

32. „ქალაქ თბილისში, ველის სასაფლაოზე არსებული 710 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.19.31.004.103) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ. 204395537) პირდაპირი

განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 710 კვ.მ. მიწის ნაკვეთის გადაცემა საქართველოს საპატრიარქოსთვის, ეკლესიის მშენებლობის მიზნით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

33. „ქალაქ თბილისში, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი N63ბ-ში არსებული 13.88 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.13.039.003.01.529) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 13.88 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი პირისთვის.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 20

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

34. „ქალაქ თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი N115-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.14.001.031) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 20 ოქტომბრის N491 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ 2023 წელს, პირდაპირი განკარგვის ფორმით ფიზიკურ პირს გადაეცა 31 კვ.მ. ფართი, თუმცა, ხსენებული პირი გარდაიცვალა ქონების რეგისტრაციამდე და აქედან გამომდინარე, სამკვიდრო მოწმობის საფუძველზე, წარმოდგენილია მისი მემკვიდრისთვის იმავე ფართის გადაცემა.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

35. „ქალაქ თბილისში, ბარბარე ერისთავი-ჯორჯაძის მე-2 შესახვევი N4-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.03.024.004.02.503) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 78 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი პირისთვის.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

36. „ქალაქ თბილისში, გრიგოლ ფერაძის ქუჩა N5-ში, კორპუსი N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.72.14.013.429.01.558) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 24 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი პირისთვის.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

37. „ქალაქ თბილისში, ფხოვის ქ.N3-ის მიმდებარედ არსებული 53 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.15.04.020.034) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „დელისთვის“ (ს/ნ. 400267117) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 53 კვ.მ. მიწის ნაკვეთის გადაცემა, ღია კაფეს მოწყობის მიზნით. იჯარის ვადა არის 2027 წლის პირველ სექტემბრამდე, ხოლო წლიური საიჯარო ქირა შეადგენს 15900 ლარს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

38. „ქალაქ თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზ. N5-ის მიმდებარედ არსებული 53 კვ.მ. მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: N01.14.14.010.032) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „უნივერსისთვის“ (ს/ნ. 204915333) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 53 კვ.მ. მიწის ნაკვეთის გადაცემა, ღია კაფეს მოწყობის მიზნით. იჯარის ვადა არის 5 წელი, ხოლო წლიური საიჯარო ქირა შეადგენს 19080 ლარს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

39. „ქალაქ თბილისში, ალ. ყაზბეგის გამზირი N2-ში არსებული 24 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.14.014.053) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ბიგ სემისთვის“ (ს/ნ. 405374107) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 24 კვ.მ. მიწის ნაკვეთის გადაცემა, ღია კაფეს მოწყობის მიზნით. იჯარის ვადა არის 2027 წლის 22 თებერვლამდე, ხოლო წლიური საიჯარო ქირა შეადგენს 5760 ლარს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

40. „ქ.თბილისში, შარტავას ქუჩა N14ა-ს მიმდებარედ არსებული, 4 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.13.017.033) პირდაპირი განკარგვის წესით, ელისო სარაულისთვის (პ/ნ. 01003003397) იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 4 კვ.მ. მიწის ნაკვეთის გადაცემა, კიბის ფუნქციონირების მიზნით. იჯარის ვადა არის 5 წელი, ხოლო წლიური საიჯარო ქირა შეადგენს 576 ლარს. აქვე აღნიშნა, რომ იჯარის ვადა დაიწყება 24 დეკემბერს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

41. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ თბილისში, ონკოლოგიურ ცენტრსა და ინტენსიფიკაციის გზას შორის 600 კვ.მ. მიწის ნაკვეთისა (საკადასტრო კოდი: N01.14.16.015.515) და ქალაქ თბილისში, მარტყოფის შესახვევი N8-ში 625 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.17.01.026.017) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია მუნიციპალურ და კერძო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მონაცვლეობა, რაც გამოწვეულია იმით, რომ კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე დამტკიცებული გრგ მიჩნეული იქნა შეუსაბამო ქალაქმშენებლობით დოკუმენტად და ამასთანავე, ახალი გენ.გეგმით გაუარესდა ფუნქციური ზონის სტატუსი, კერძოდ, საცხოვრებელ ზონა 3-ს დაედო სატყეო ზონის სტატუსი. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ერთი, 600 კვ.მ. მიწის ნაკვეთი მდებარეობს ონკოლოგიურ ცენტრსა და ინტენსიფიკაციის გზას შორის და მეორე, 625 კვ.მ. მიწის ნაკვეთი მდებარეობს მარტყოფის შესახვევი N8-ში, ხოლო სამი თანამესაკუთრის საკუთრებაში არსებული 900 კვ.მ. მიწის ნაკვეთი მდებარეობს შატბერაშვილის და კეკელიძის ქუჩების მიმდებარედ. აქვე აღნიშნა, რომ საპრივატიზებო საფასური შეადგენს 148000 ლარი.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

42. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2011 წლის 19 ივლისის №-35-13-820 აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმით (ადმინისტრაციული დაპირება) გათვალისწინებული პირობის ცვლილების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ 2011 წელს, აუქციონზე განიკარგა გურამიშვილის N76-ის მიმდებარედ არსებული 70 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, შეზღუდვით მშენებლობის უფლების გარეშე, თუმცა, დღეს, აღნიშნული ნაკვეთი გაერთიანებულია სხვა მიწის ნაკვეთებთან და წარმოადგენს სამშენებლოდ განვითარებად ტერიტორიას. აქედან გამომდინარე, დაინტერესებულმა პირმა მუნიციპალიტეტს მომართა შეზღუდვის ცვლილების თხოვნით, რომელიც ყალიბდება შემდეგნაირად: მშენებლობის უფლების გარეშე რჩება, თუმცა, კომპანიას საშუალება ეძლევა, სხვა მიწის ნაკვეთებთან გაერთიანებით, რაც რეალურად უკვე მოხდა, მოქმედი ფუნქციური ზონის შესაბამისად, გამოიყენოს ამ 70 კვ.მ.-ს კოეფიციენტები, სადაც ძირითადად იგულისხმება კ2 კოეფიციენტი, რადგან კ1 კოეფიციენტზე ანუ პერიმეტრზე მაინც რჩება შეზღუდვა, რადგან ადევს სერვიტუტი, რომლის შენარჩუნების პირობა რჩება უცვლელი. აქვე აღნიშნა, რომ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ ზემოთ ხსენებული პირობით შეზღუდვის მოხსნის შეფასების საფუძველზე, დაინტერესებული პირი, პირობის მოხსნის სანაცვლოდ, გადაიხდის 41000 ლარს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

43. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „თაბორი რიზორთს“ შორის 2016 წლის 13 მაისს გაფორმებულ პირობებით გამოცხადებული აუქციონის №-308-26-19647 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ 2016 წელს, „თაბორი რიზორთზე“ აუქციონით განიკარგა ოქროყანაში მდებარე მიწის ნაკვეთი, სადაც სახელშეკრულებო ვალდებულებას წარმოადგენს 80 ნომრიანი სასტუმრო კომპლექსის მშენებლობა. კომპანიამ მუნიციპალიტეტს მიმართა პროექტის დასრულების ვადის ერთი წლით გაგრძელების თხოვნით, რაც დასაბუთებულია რამდენიმე არგუმენტით, მათ შორის, გაიზარდა პროექტის მასშტაბი, უკვე დახარჯულია დაახლოებით 120000000 აშშ დოლარი, დასრულებულია სასტუმროს მშენებლობის რკინა-ბეტონის ნაწილი და მიმდინარეობს ფასადის მოპირკეთების სამუშაოები, დასრულებულია გარე ტერიტორიის და გოლფის მოედნების მოწყობა და ამასთანავე, მიმდინარეობს მოლაპარაკებები მარიოტის ერთ-ერთი სასტუმროს განთავსებაზე. თბილისის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია კომპანიის თხოვნის დაკმაყოფილება და შესაბამისად, წარმოდგენილია პროექტის დასრულების ვადის გადაწევა 2025 წლის 31 დეკემბრამდე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

44. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და შპს „არომას“ (ს/ნ 245599990) შორის 2022 წლის 23 აგვისტოს გაფორმებული „ქ.თბილისში, დიდი დიღმის დასახლება, III და IV მიკრორაიონებს შორის N01.10.07.007.104 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 19000 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული შპს „არომასთვის“ (ს/ნ. 245599990), კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს დაკისრებისაგან შპს „არომას“ (ს/ნ. 245599990) გათავისუფლების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ კოოპერატიული ხელშეკრულების ფარგლებში, წარმოდგენილია პირგასამტეხლოს პატიების საკითხი. კერძოდ, 2022 წელს, დიდი დიღმის დასახლებაში გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც კმაყოფილდება 119 პირი. კომპანიას შესასრულებელი ჰქონდა ნებართვის და განშლის ვალდებულებები, რომლებიც დღეის მდგომარეობით შესრულებულია, თუმცა დაგვიანებით, კერძოდ, მშენებლობის ნებართვა აღებული იქნა 140 დღის დაგვიანებით, ხოლო განშლა - 98 დღის დაგვიანებით, რის შედეგადაც დაკისრებულმა პირგასამტეხლომ ჯამში შეადგინა 476000 ლარი. იქიდან გამომდინარე, რომ ვალდებულებების დაგვიანებით შესრულება გამოწვეული იყო ობიექტური მიზეზებით, კერძოდ, ვადების დაცვა შეფერხდა საჯარო რეესტრის ხარვეზების გამო, თბილისის მთავრობას მიზანშეწონილად მიაჩნია კომპანიის გათავისუფლება დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდისგან.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

45. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და შპს „ინვესტ მშენ 1“-ს (ს/ნ. 425368149) შორის 2022 წლის 19 სექტემბერს გაფორმებული „ქ. თბილისში, დიდ დიღომში, III მიკრო რაიონში, კორპუსი N4-ის მიმდებარედ, N01.10.07.007.177 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 6002 კვ.მ. ფართობის მქონე მიწის ნაკვეთის კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს დაკისრებისაგან შპს „ინვესტ მშენ 1“-ის (ს/ნ. 425368149) გათავისუფლების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ ამ შემთხვევაშიც წარმოდგენილია პირგასამტეხლოს პატიების საკითხი. კერძოდ, 2022 წელს, „ინვესტმშენ 1“-თან გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის ფარგლებშიც, დიდ დიღომში, III მ/რ-ში, კმაყოფილდება კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებული 40 პირი. ამ შემთხვევაში მშენებლობის ნაბართვის აღება მოხდა 72 დღის დაგვიანებით და ასევე, 72 დღით განშლის ვადის დაგვიანება, რაც გამოწვეული იყო საჯარო რეესტრის ხარვეზებით და იქიდან გამომდინარე, რომ დღეს შესრულებულია ხსენებული ვალდებულებები, თბილისის მთავრობას მიზანშეწონილად მიაჩნია კომპანიის გათავისუფლება დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდისგან, რომელიც ჯამში შეადგენს 399000 ლარს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

46. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „კონსალტინგ გრუპს“ (საფირმო სახელწოდების ცვლილების საფუძველზე - შპს „სითი ბოქსი“, ს/ნ. 439402843) შორის 2017 წლის 31 მაისს გაფორმებული იჯარის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევისთვის დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან შპს „სითი ბოქსის“ (ს/ნ. 439402843) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი და მომდევნო საკითხი ეხება მუნიციპალიტეტსა და „კონსალტინგ გრუპს“ იგივე „სითი ბოქსს“ შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებს. კერძოდ, 2017 წელს კომპანიაზე იჯარის ფორმით, განიკარგა სხვადასხვა მიწის ნაკვეთები, მათზე რეტერატების განთავსების მიზნით. აღსანიშნავია, რომ კომპანიას სხვადასხვა ლოკაციაზე, ქალაქის მასშტაბით, განთავსებული ჰქონდა რეტერატები, თუმცა, პროექტმა არ იმუშავა, მათ შორის, ვანდალიზმის ძალიან ხშირი შემთხვევებიდან გამომდინარე და კომპანიისთვის კომერციულად შეუძლებელი გახდა პროექტის ფუნქციონირება. აქედან გამომდინარე, მუნიციპალიტეტს მიმართა ხელშეკრულების შეწყვეტის თხოვნით და, დღეს არსებული რეალობით, ხელშეკრულება შეწყვეტილია. აქვე აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტსა და კომპანიას შორის გაფორმებულია ორი ხელშეკრულება, რომელთაგან ერთის ფარგლებში, იჯარის ვადის დაგვიანების გამო, კომპანიას დაეკისრა პირგასამტეხლო 2000 ლარის ოდენობით, ხოლო მეორე შემთხვევაში - 1630 ლარის ოდენობით. ასევე, დაკისრებული აქვს პირგასამტეხლო განთავსების და დადასტურების მტკიცებულებების წარმოდგენისთვის. თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ ხელშეკრულება შეწყდა და საიჯარო ქირაზე დარიცხული პირგასამტეხლო არ არის სუბიექტური და გამოწვეული იყო ობიექტური გარემოებებით, თბილისის მთავრობას მიზანშეწონილად მიაჩნია კომპანიის გათავისუფლება დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდისგან.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

47. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „სითი ბოქსს“ (ს/ნ. 439402843) შორის 2018 წლის 28 სექტემბერს გაფორმებული „უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის“ №-427-1-22706 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევისთვის დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან შპს „სითი ბოქსის“ (ს/ნ. 439402843) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ ამ შემთხვევაში წარმოდგენილია შპს „სითი ბოქსის“ გათავისუფლება ქირის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდისგან, რომელიც შეადგენს 1630 ლარს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

48. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობასა და შპს „ლოჯიკ გრუპს“ (ს/ნ. 205201191) შორის 2007 წლის 08 მაისს გაფორმებულ „შპს „სპორტის სასახლის“ ქალაქ თბილისის ადგილობრივ საკუთრებაში არსებული 100%-იანი წილის თხოვების სახით (მართვის უფლებით) გადაცემის თაობაზე“ ხელშეკრულებაში (სანოტარო რეესტრში რეგისტრაციის N2450/1) ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე შეთანხმების მოწონებისა და შპს „ლოჯიკ გრუპის“ (ს/ნ. 205201191) მიმართ რიგ ღონისძიებათა განხორციელების შესახებ“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ თბილისის მთავრობასა და შპს „ლოჯიკ გრუპს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, შპს-ს გადაცემული აქვს მუნიციპალური საწარმოს 100%-იანი წილი, რომლის სარგებლობაში და კაპიტალში არის სპორტის სასახლის ტერიტორია. ამ ეტაპზე წარმოდგენილია ხელშეკრულებაში ცვლილებების განხორციელება შემდეგი პირობებით: კომპანია, შეთანხმების დადების დღიდან ორი წლის ვადაში განახორციელებს 4000000 დოლარის ინვესტიციას, აქედან 2025 წლის პირველ ოქტომბრამდე დაასრულებს გარე ტერიტორიის მოწყობას, რაშიც იგულისხმება ტერიტორიის მაქსიმალური გამწვანება, ავტოსადგომების შემცირება და შესაძლებელია მოეწყოს პადელის ღია მოედნები. ამასთანავე, იმისთვის, რომ კომპანიას მიეცეს ინვესტიციის განხორციელების საშუალება, ითხოვს არსებული მართვის უფლების ვადის გაგრძელებას დაახლოებით 7.5 წლით და ასევე, წარმოდგენილია პირგასამტეხლოს პატიება იმ პირობით, რომ თუ დაარღვევს ზემოთ ხსენებული ვალდებულებების შესრულების ვადებს, აღუდგება 60000 აშშ დოლარის ოდენობის პირგასამტეხლო.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

49. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ას ჯორჯიას“ (ს/ნ 406024270) შორის 2012 წლის 26 სექტემბერს გაფორმებულ „ქ.თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით ნასყიდობის შესახებ“ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით რიგ ღონისძიებათა განხორციელების თაობაზე შეთანხმების მოწონებისა და შპს „ას ჯორჯიას“ (ს/ნ 406024270) მიმართ რიგ ღონისძიებათა განხორციელების შესახებ“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ 2012 წელს, შპს „ას ჯორჯიასთან“ გაფორმდა პრივატიზების ხელშკრულება, რომლის ფარგლებშიც, დღეის მდგომარეობით, კომპანიას ჰქონდა ვალდებულება, რომ 2023 წლის 31 დეკემბრამდე მოეწყო პარკი 7.5 ჰექტარზე, რაც რეალურად შესრულებულია და კომპანიას დღეის მდგომარეობით განხორციელებული აქვს 3000000 აშშ დოლარის ინვესტიცია, თუმცა, ამ ეტაპზე, წარმოდგენილია ვალდებულების შესრულება 64000 კვ.მ.-ზე და 10700 კვ.მ-ზე ვალდებულების შესრულებისთვის დამატებითი ვადის მიცემა, რადგან ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ მიწის ნაკვეთის ნაწილზე ვერ მოხერხდა პარკის მოწყობა არის თვითნებურად შეჭრილი პირების პრობლემა და აქედან გამომდინარე, კომპანიასთან მოხდა შეთანხმება, რომ 10700 კვ.მ.-ს დაასრულებს სამი წლის ვადაში და რეალურად გაფართოვდება დღეის მდგომარეობით არსებული პარკი. ამასთანავე, წარმოდგენილია კომპანიის გათავისუფლება პირგასამტეხლოს გადახდისგან, რომელიც დაეკისრა ზემოთ ხსენებული პრობლემის გამო.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

